## შესავალი

მოცემული ანგარიში წარმოადგენს 2018 წლის პირველი კვარტლის პერიოდში საქართველოში შიდა მოგზაურობის სტატისტიკურ მიმოხილვას. მონაცემები მოიცავს შინამეურნეობების კვლევის შედეგებს, რომელიც მოწოდებულ იქნა სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მიერ.

შიდა მოგზაურობა არის მოცემულ პერიოდში საქართველოს რეზიდენტების მოგზაურობა ჩვეული გარემოს გარეთ[1], რომლის განმავლობაშიც ისინი ახორციელებენ დანახარჯებს აქტივობებსა და განთავსების საშუალებებზე, რითაც წვლილი შეაქვთ ადგილობრივი ეკონომიკის განვითარებაში.

გამოცემის მთავარ ინტერესს წარმოადგენს დასვენებისა და რეკრეაციის, ბიზნესის, მეგობრებისა და ნათესავების მონახულების მიზნებთან დაკავშირებული ვიზიტები, ასევე მოგზაურობის განმავლობაში გაწეული დანახარჯები.

## შიდა ტურიზმის მნიშვნელობა

შიდა ტურიზმს მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ეკონომიკურ აქტივობასა და დასაქმებაში, როგორც მსოფლიო ასევე საქართველოს მასშტაბით.

2017 წელს შიდა ტურიზმის დანახარჯების წილმა მსოფლიოში ტურიზმის მთლიან გამოშვებაში 72.7% შეადგინა, ხოლო საერთაშორისო ტურიზმის ანალოგიური მაჩვენებელი მხოლოდ 27.3% იყო[2].

## რამდენ ვიზიტს ახორციელებენ შიდა ვიზიტორები?

შიდა ვიზიტორებმა რამდენჯერმე იმოგზაურეს მოცემული პერიოდისათვის. 2018 წლის პირველი კვარტლის ჯამური ვიზიტების რაოდენობამ 2.95 მილიონი ვიზიტი შეადგინა, რაც 0.6%-ით მეტია წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით (გრაფიკი 1).

**გრაფიკი 1: შიდა ვიზიტები 2017-2018 (ათასი)**




ყველაზე მეტი ვიზიტი 21.6% თბილისიდან დაფიქსირდა, ხოლო დანარჩენ რეგიონებში მცირედი სხვაობა შეინიშნებოდა განხორციელებული ვიზიტების სიხშირის მიხედვით (გრაფიკი 2).

[1] ჩვეული გარემოს გარეთ მოგზაურობის იდენტიფიცირებისთვის ერთდროულად ორი ლოკაციისა და რეგულარობის მეთოდი გამოიყენება. პირველი აღნიშნავს შიდა ვიზიტი განხორციელდა თუ არა მუნიციპალიტეტის გარეთ. მეორე მეთოდი განსაზღვრავს კონკრეტულად ვიზიტის სიხშირეს, თუ შიდა ვიზიტორი სტუმრობს სხვა მუნიციპალიტეტს უფრო იშვიათად ვიდრე ორ კვირაში ერთხელ, ეს ვიზიტი არ განიხილება, როგორც რეგულარული.

[2] World Travel &Tourism Council (2018):"The Economic Impact of Travel & Tourism 2018".

**გრაფიკი 2: შიდა ვიზიტები რეგიონების მიხედვით**




## რომელია შიდა მოგზაურობის ძირითადი მიზნები?

შიდა ვიზიტების უმრავლესობა მეგობრებისა და ნათესავების მოსანახულებლად (56.8%) განხორციელდა. ვიზიტების შედარებით მცირე რაოდენობა დაფიქსირდა შოპინგის (13.5%) და მკურნალობა, გაჯანსაღების (10.9%) მიზნით, ხოლო 4.6% შეადგენდა დასვენება, გართობა, რეკრეაციის მიზნით განხორციელებულ ვიზიტებს (გრაფიკი 3).

**გრაფიკი 3: ვიზიტის მთავარი მიზანი**




თბილისისა და საქართველოს დანარჩენი ნაწილის რეზიდენტების მიერ განხორციელებული ვიზიტების მთავარ მიზანში გარკვეული სხვაობა შეინიშნებოდა. თბილისიდან არსებული ვიზიტების 9.4% დასვენების, გართობისა და რეკრეაციის ხასიათის იყო, ანალოგიური მაჩვენებელი საქართველოს დანარჩენი ნაწილისათვის 3.3%-ია. თბილისიდან ვიზიტების ნახევარზე მეტი (56.5%) მეგობრების და ნათესავების მოსანახულებლად განხორციელდა. აღნიშნული მაჩვენებელი დანარჩენი საქართველოსათვის 56.8% იყო (გრაფიკი 4).

**გრაფიკი 4: ვიზიტის მთავარი მიზანი რეზიდენტობის მიხედვით**






## რომელია ტურიზმის პოპულარული აქტივობები?

შიდა ვიზიტორები მოგზაურობისას სხვადასხვა აქტივობებში მონაწილეობდნენ. შიდა მოგზაურების ყველაზე პოპულარულ აქტივობას მეგობრების და ნათესავების მონახულება (74.4%), შოპინგი (62.8%) და ადგილობრივი სამზარეულოსა და ღვინის დაგემოვნება წარმოადგენდა (40.7%) (გრაფიკი 5).

**გრაფიკი 5: პოპულარული აქტივობები**




## რომელ რეგიონებს სტუმრობენ შიდა ვიზიტორები?

2018 წლის პირველ კვარტალში შიდა ვიზიტების 28% საქართველოს დედაქალაქში განხორციელდა, შემდეგ მოდის იმერეთი (19%) და აჭარა (13%).

დასვენების მიზნით განხორციელებულ ვიზიტებს შორის ყველაზე ხშირად მონახულებადი რეგიონები იყო: სამცხე-ჯავახეთი (30%), მცხეთა-მთიანეთი (23%) და თბილისი (19%) (გრაფიკი 6).

**გრაფიკი 6: მონახულებული რეგიონები**




შიდა ვიზიტორებისათვის ყველაზე სასურველ ქალაქებს წარმოადგენდა: თბილისი (28%), ქუთაისი (10%) და ბათუმი (+9%) (გრაფიკი 7).

**გრაფიკი 7: ყველაზე ხშირად მონახულებული ქალაქები**




**ცხრილი 1: საშუალო გაჩერების ხანგრძლივობა**

| რეზიდენტობის ადგილი | საშუალო ხანგრძლივობა |
|---|---|
| გურია | 2.2 |
| თბილისი | 2.1 |
| იმერეთი,რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი | 1.6 |
| სამცხე-ჯავახეთი | 1.6 |
| სამეგრელო-ზემო სვანეთი | 1.5 |
| კახეთი | 1.4 |
| აჭარა | 1.1 |
| ქვემო ქართლი | 1.0 |
| შიდა ქართლი | 0.9 |
| მცხეთა-მთიანეთი | 0.5 |

## რა ხანგრძლივობით მოგზაურობენ შიდა ვიზიტორები?

2018 წლის პირველ კვარტალში ღამისთევების ჯამურმა რაოდენობამ 3 მილიონი შეადგინა, ხოლო საშუალო ღამისთევების რაოდენობამ - 1.45 ღამე. შიდა ვიზიტების 43% მინიმუმ ერთ ღამისთევას მოიცავდა. (ცხრილი 1).

მეორე სახლის მოსანახულებლად განხორ-ციელებული ვიზიტის საშუალო ხანგრძლივობა 2.8 ღამეს შეადგენდა, ხოლო დასვენება, გართობა, რეკრეაციის მიზნით განხორციელებული ვიზიტების საშუალო ხანგრძლივობა 1.9 ღამე იყო.

## რომელი ინფორმაციის წყაროებით სარგებლობენ შიდა ვიზიტორები?

საქართველოში მოგზაურობის დაწყებამდე ვიზიტორებმა დანიშნულების ადგილის შესახებ ინფორმაცია სხვადასხვა წყაროდან მოიძიეს. აღსანიშნავია, რომ მათ უმეტეს ნაწილს (91%) უკვე მოეპოვებოდა ინფორმაცია წინა ვიზიტიდან, მოგზაურთა 22.6%-მა კი ინფორმაცია მეგობრებისა და ნათესავებისგან მიიღო (გრაფიკი 8).

**გრაფიკი 8: ინფორმაციის წყარო**




## როგორია შიდა მოგზაურების სქესობრივ-ასაკობრივი პროფილი?

შიდა ვიზიტორების 53%-ს ქალები წარმოადგენდნენ, ხოლო 47%-ს - კაცები. 25-34 წლის კატეგორია შიდა ვიზიტორების ყველაზე დიდ ნაწილს (20.2%) შეადგენდა. შემდეგ მოდის 45-54 ასაკის (19.8%) და 35-44 ასაკის (19.4%) კატეგორია (გრაფიკი 9).

**გრაფიკი 9: შიდა ვიზიტორების ასაკობრივი პროფილი**




## რომელი განთავსების საშუალებებში ათევდნენ ღამეს შიდა ვიზიტორები?

შიდა ვიზიტორებმა ვიზიტისას გატარებული მთლიანი ღამისთევების ჯამური რაოდენობის 68.5% მეგობრის, ნათესავის სახლში გაატარეს. 19.1% - საკუთარ სახლში, 3.4% - საავადმყოფოში, ხოლო 3.2% კი სასტუმროში. დასვენების მიზნით მოგზაურმა ვიზიტორებმა მთლიანი ღამისთევების რაოდენობის 29.8% მეგობრის, ნათესავის ბინაში გაატარეს, 28.7% კი სასტუმროში (გრაფიკი 10).

**გრაფიკი 10: განთავსების საშუალებები**




**ცხრილი 2: დანახარჯები**

| კომპონენტები | მთლიანი ხარჯი ლარი (x1000) | დანახარჯის წილი |
|---|---|---|
| საყიდლები | 116,448 | 32.3% |
| საკვები და სასმელი | 72,244 | 20% |
| ტრანსპორტი | 66,519 | 18.4% |
| განთავსების საშუალება | 12,968 | 3.6% |
| რეკრეაცია, კულტურული აქტივობები | 6,730 | 1.9% |
| სხვა | 86,147 | 23.8% |

## რამდენს შეადგენს შიდა ვიზიტორების განხორციელებული დანახარჯები?

შიდა ვიზიტორების მიერ განხორციელებული დანახარჯების ჯამური მაჩვენებელი 361.1 მილიონ ლარს შეადგენს, ხოლო ერთი ვიზიტისას გაწეული საშუალო დანახარჯი 122 ლარს შეადგენდა.

დანახარჯების ყველაზე დიდი წილი საყიდლებზე დაფიქსირდა (116.4 მილიონ ლარზე მეტი, მთლიანი ხარჯების 32.3%). ასევე მნიშვნელოვანი წილით იყო წარმოდგენილი საკვები და სასმელი (20%, 72.2 მილიონ ლარზე მეტი). ტრანსპორტირებაზე გაწეული დანახარჯები კი 18.4%-ს შეადგენდა. განთავსებაზე შიდა ვიზიტორებმა მთლიანი დანახარჯის მხოლოდ 3.6% გასწიეს (13 მილიონი ლარი) (ცხრილი 2).

## რამდენად კმაყოფილი არიან შიდა ვიზიტორები?

შიდა ვიზიტორების 50% იყო კმაყოფილი განხორციელებული ვიზიტით, 34%-ძალიან კმაყოფილი, ხოლო 0.6%-მა თავი შეიკავა პასუხის გაცემისგან. ზოგადი კმაყოფილების დონე 4.15-ს შეადგენდა (5-დან).

## ვინ არიან შიდა ვიზიტორები ეკონომიკური აქტივობის მიხედვით?

შიდა ვიზიტორების უმრავლესობა წარმოადგენდნენ დაქირავებულ მომუშავეებს. შიდა ვიზიტების 27% სწორედ მათ მიერ განხორციელდა. შემდეგ მოდის თვითდასაქმებულების (22%) და დიასახლისის (16%) .კატეგორია (გრაფიკი 11).

**გრაფიკი 11: შიდა ვიზიტორების ეკონომიკური აქტივობა**




## მეთოდოლოგია

ზემოთ გაანალიზებული მონაცემები დაფუძნებულია საქსტატის ადგილობრივი შინამეურნეობების ტურიზმის კვლევის შედეგებზე, რომელიც პირისპირი ინტერვიუების ტექნიკის გამოყენებით ჩატარდა. ქვეყნის მასშტაბით გამოიკითხა საქართველოს შინამეურნეობებში მცხოვრები 15 წლის და უფროსი ასაკის 2433 რესპონდენტი, რომელთაც ბოლო 1 თვის განმავლობაში განხორციელებული ჰქონდათ ვიზიტი საქართველოში. შესაბამისად, შერჩევის რაოდენობა წლის განმავლობაში 9732 ინტერვიუს შეადგენს. ინტერვიუს ხანგრძლივობა 15-20 წუთი იყო.

რესპონდენტთა შერჩევა განხორციელდა ორ საფეხურიანი კლასტერული მეთოდის გამოყენებით წინასწარი სტრატიფიკაციით. შერჩევის ჩარჩოდ გამოყენებული იქნა 2014 წლის საყოველთაო აღწერა. კვლევის შედეგები განზოგადებულია 2018 წლის იანვარი-მარტის პერიოდზე.

*ანგარიში მომზადდა საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის კვლევებისა და დაგეგმვის სამმართველოს მიერ.*

*ტელ: +995 322 43 69 99 (18 20)*

*ელ. ფოსტა: infostatistics@gnta.ge*